

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

№1

ქ. ქუთაისი

2 აპრილი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- | | |
|------------------|---|
| ნოდარ მიქიაშვილი | - ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე. |
| ირაკლი ავალიანი | - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი. |
| მალხაზ ბასილაძე | - ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი. |
| ირაკლი გიორგაძე | - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი. |

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში გელათის ქუჩის ნაწილის, ბროსეს ქუჩის, ვარლამიშვილის და ფალიაშვილის ქუჩის ნაწილის გზის გრანიტის ფილებით, ტროტუარებით, ბორდიურებით, შშმ პირებისათვის პანდუსებით და ღვარსადენი სისტემებით მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარი) შედგენის შესახებ.

მოსმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით - ქალაქ ქუთაისში გელათის ქუჩის ნაწილის, ბროსეს ქუჩის, ვარლამიშვილის და ფალიაშვილის ქუჩის ნაწილის გზის გრანიტის ფილებით, ტროტუარებით, ბორდიურებით, შშმ პირებისათვის პანდუსებით და ღვარსადენი სისტემებით მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარი) შედგენის პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა, კომისიის წევრმა: ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში გელათის ქუჩის ნაწილის, ბროსეს ქუჩის, ვარლამიშვილის და ფალიაშვილის ქუჩის ნაწილის გზის გრანიტის ფილებით, ტროტუარებით, ბორდიურებით, შშმ პირებისათვის პანდუსებით და ღვარსადენი სისტემებით მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2015 წლის 8 აპრილს 12:30 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2015 წლის 8 აპრილის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ. ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე-3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:



ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი



მალხაზ ბასილაძე



ირაკლი გიორგაძე

